



## არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება „პანორამა თბილისის“ პროექტთან დაკავშირებით

2015 წლის 16 ივლისს, მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ **DP** თბილისის **პროექტზე** მშენებლობის ნებართვა გასცა. გვსურს გამოვცხადოთ ადინიშნულ გადაწყვეტილებას და აღვნიშნოთ შემდეგი:

**ADP** თბილისის **პროექტთან** დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სამინისტროს სისტემაში შემავალმა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, სრული იგნორირებით, დატოვეს 17 ორგანიზაციისა და 5000-მდე საქართველოს მოქალაქის ოფიციალური მიმართვა/მოწოდება, რომ **DP** თბილისის **პროექტზე** მსჯელობის დროს გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველზე მომხდარიყო;

**AD** წარმოების საჯარო წესით ჩატარება ერთი მხრივ ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას მისცემდა პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დაეფესირებინა, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობდა საკითხისადმი საჯარო დისკუსიის წარმართვას;

**AD** პირობებში, როდესაც წარმოდგენილ ლოკაციებზე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით არაერთი შენიშვნა და პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს (მათ შორის: სატრანსპორტო, ეკოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით), გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობასა და გამჭვირვალობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა;

**AD** განცხადების ავტორებისათვის ამ დრომდე უცნობი რჩება, თუ რატომ არ გამოიყენეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საქართველოს კანონმდებლობით

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მინიჭებული უფლებამოსილება, რომელიც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა იმ საკითხებზე, რომელიც პირთა ფართო წრის ინტერესებს ეხება;

✓☐ და სააგენტოს, და შესაბამისად - სახელმწიფოს დამოკიდებულება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ეკიდებიან ისინი ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ვალდებულებებს მოქალაქეების წინაშე;

✓☐ რომ ☐ თბილისის ☐ მასშტაბის პროექტზე შესაბამისი ნებართვის გაცემის პროცესში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის უგულებელყოფა და გადაწყვეტილების ფარულად, დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის გარეშე მიღება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პოლიტიკას - ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) უმთავრესი პრინციპების დაცვის მიმართებულებით (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, სამოქალაქო ჩართულობა);

ჩვენ ვაცნობიერებთ ინვესტიციების და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას ქვეყნისთვის, თუმცა გვსურს ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ ქალაქი ეკუთვნის ხალხს და არა კონკრეტულ მინაზე საკუთრების უფლების მქონე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს და ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანია, გადაწყვეტილების დაჩქარებულად, გაუმჭვირვალედ და საზოგადოების ჩართულობის გარეშე მიღება, ეწინააღმდეგება დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს.

ხელმოწერილი ორგანიზაციები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ტფილისის ჰამქარი

მწვანე ალტერნატივა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი